პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190) დაემატოს შემდეგი შინაარსის VII[29] თავი:

„თავი VII[29]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ კომერციული ბანკისგან, მიკრობანკისგან მაუწყებლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე

მუხლი 21[111]. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის, მიკრობანკის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

კომერციული ბანკის, მიკრობანკის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის მაუწყებლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

მუხლი 21[112]. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით მაუწყებლის მიერ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66[1] მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში კომერციული ბანკისგან, მიკრობანკისგან მაუწყებლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ კომისიამ ამ მაუწყებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის შესახებ, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა.
2. კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს:

ა) იმ მაუწყებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
ბ) კომერციული ბანკის, მიკრობანკის დასახელება, რომლისგანაც მიღებული უნდა იქნეს ინფორმაცია;
გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ინფორმაციის მიღების ფორმა და ვადა.

მუხლი 21[113]. კომერციული ბანკის, მიკრობანკის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის მაუწყებლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი

1. მოსამართლე ბრძანებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.
2. მოსამართლე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელი და ის მაუწყებელი/მისი წარმომადგენელი, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა მოწვევა ვერ ხერხდება).
3. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობის განხილვის გადადებას.
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ.
5. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:
ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
გ) კომერციული ბანკი, მიკრობანკი, რომელმაც საჯარო სამართლის იურიდიული პირს - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მაუწყებლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს;
დ) ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;
ე) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.
6. შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:
ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) განკარგულება შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შესახებ.
7. მოსამართლის ბრძანება დგება 4 ეგზემპლარად. მისი ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, მეორე – მაუწყებელს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება, მესამე – კომერციულ ბანკს, მიკრობანკს, ხოლო მეოთხე რჩება სასამართლოში.
8. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.
9. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.
10. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.
11. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი